

## მზითევი და მეგრული ხალხური წყობილსიტყვაობა

ნანა აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი, დადიანების სასახლეთა

ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

E-mail: abuladze777@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** ხალხური სიტყვიერება ერის სუნთქვის, მისი ძირძველობის უმრეტი წყაროა. მასში თავმოყრილია ის ფაქტობრივი მასალა, რომელიც ეროვნული განცდითაა ნასაზრდოები.

ქორწინების ინსტიტუტის ფოლკლორულ ასპექტში შესწავლისათვის მნიშვნელოვანია მზითევი, რომელიც საქორწილო წეს-ჩვეულების მთლიანი ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია, რომლის მომზადება ქალის მშობლების მოვალეობას შეადგენდა და რომელიც იცვლებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული დონის განვითარების პარალელურად. ხალხურმა პოეტურმა ფოლკლორმა უამრავი ტექსტუალური მასალა შემოგვინახა, რომელიც ნათლად ადასტურებს ამა თუ იმ ეპოქის ტრადიციას. ცნობილია, რომ წეს-ჩვეულება ირეკლავს საუკუნეთა სუნთქვას. კაცობრიობის განვითარების ისტორიის პერიოდში იყო დრო, როდესაც საქორწინო კავშირის დამყარებისათვის სავალდებულო ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად წყვილთა პირადი ღირსებები, გვარ-ჩამომავლობა იყო მიჩნეული. საუკუნეების ცვალებადობას ახასიათებს სულიერი თუ მატერიალური ღირებულებების გადაფასება.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მატერიალურმა დაინტერესებამ წინა პლანზე მზითვის ინსტიტუტი წამოწია. ამ მხრივ დაინტერესებული იყვნენ როგორც ქალის, ასევე ვაჟის მშობლები. საყურადღებოა, რომ ამ საკითხს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. უდაოა, რომ ისტორიის საკუთრება გახდა ის დრო, როდესაც პატარძლისთვის „მზითვის სია“ პირველი ქვაკუთხედი იყო მომავალი ბედნიერებისათვის. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეების

ქურაში იწრთობა ქორწინების წინაპირობათა არსი. მზითვი, ე.ი. ვაჟის მატერიალური დაინტერესება უკან პლანზე გადადის. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სიყვარული. ახალგაზრდები თავიანთი გრძნობით, შინაგანი სამყაროს კარნახით ქმნიან ოჯახებს. მშობლები უკვე ვეღარ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ქალ-ვაჟის შეუღლებაში, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. თაობათა ეს ბრძოლა თავისებურ ასახვას პოულობს ფოლკლორულ ნიმუშებში.

ჩვენი მიზანია საველე მუშაობის შედეგად შეკრებილი მეგრული ხალხური პოეტური ტექსტებით წარმოვაჩინოთ მზითვისადმი დამოკიდებულება და ის ცვლილებები, რომელიც საფუძველს გვამლევს დავასკვნათ თუ როგორ იცვლებოდა მზითვის როლი და მნიშვნელობა დროსა და სივრცეში.

*საკვანძო სიტყვები: მზითვეი, მეგრული ჩვეულება, მეგრული პოეტური ტექსტი, მზითვის სია, მაჰანკალი.*

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წერილობითი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქალის მზითვეი მეოთხე ათასწლეულის ბოლოსა და მესამე ათასწლეულის დასაწყისში (ენეოლითის ხანაში) დასტურდება (აფაქიძე, ჯაფარიძე, ხოშტარია, 1959:86). ამდენად, მზითვის ინსტიტუტის წარმოშობის საკითხმა დაგვანახა, რომ მისი საფუძვლები შორეულ წარსულიდან იღებს სათავეს. დროთა ვითარებში მზითვეი სხვადასხვა სახით გვხვდება. ქალის მზითვეი ძირითადად შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ქალის პირადი და საოჯახო სარგებლის ნივთებისა (ტანსაცმელი, სამკაულები, შრომის იარაღები და დგამ-ჭურჭელი) და მომგებიანი ქონებისაგან (პირუტყვი, ფული, მამული, ფუტკარი და სხვა) (მაჩაბელი, 1978:59).

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობა მზითვეში ფულს არ ატანდა. სამაგიეროდ მიღებული იყო მამულის (ბაღის, მიწის, ფუტკრის, პირუტყვის და სხვა) გასაჩუქრება, რაც ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოშიც იშვიათი შემთხვევა იყო (მაჩაბელი, 1976:44).

ქართლ-კახეთში ქალს ხშირად გოჭებიან დედა ღორსაც ატანდნენ (მაჩაბელი, 1976:53) მამულის და ფუტკრის, პირუტყვის გატანება განსაკუთრებით იცოდნენ

ფშავ-ხევსურეთში (ხიზანიშვილი (ურბნელი) 1940:42). სამცხე-ჯავახეთში ქალის მზითვეში ნაჩუქარ მამულს დედუღეთი ეწოდება (ხოსიტაშვილი, 1983:58).

მზითვით დაინტერესებულ მამაკაცთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფოლკლორმა მრავლად შემოგვინახა პოეტური მასალა, სადაც ვაჟი ქალის ქონებას წინა პლანზე აყენებდა და პირად გრძნობაზე უარს ამბობდა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად ღარიბ კაცს აწუხებდა, რადგან ასული უმზითვობის გამო გაუთხოვარი ურჩებოდა. სწორედ ეს გულისწყრომაა გადმოცემული ხალხური პოეტურ ტექსტში:

ვაი, დედავ, თითი მტკივა

მე ვერ გავძლებ უთითოდ,

ამ დასაწყვეტსა ბიჭებსა

არ მივყვები უმზითვოდ. (თსუ. ფ. არე № 2850)

მზითვიანი ქალის შერჩევისა და ამგვარი ქორწინების შედეგები მეგრულ ფოლკლორში ნათლად არის გადმოცემული. მაგ.:

ასეიან ბოშკათევი

ახლანდელი ყმაწვილკაცები

ფარამ ოსურს იგორუნა,

ფულიან ქალს ეძებენ,

მუში ხეთ მუთუნს ვაცადუნა,

თავისი ხელით არაფერს აკეთებენ

(„არ ცდილობენ“),

ნამზითუთი იხორუნა,

ნამზითვით სახლდებიან,

მზითი დელიებუნანი,

მზითევი რომ დაელევათ,

სო დიხასი ითხორუნა.

სად მიწაში ჩაძვრებიან

(„დაიმარხებიან“).

ოსურეფიმ ოვილარო

ცოლების მოსაკლავად

ჭუკიმ წამალს იგორუნა...

თავის წამალს ეძებენ.

(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975:192)

ქალის გათხოვება მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. გასათხოვარი ქალისათვის ყოველი ახალი კაბის შეკერვა ასოცირდებოდა გათხოვებასთან. სწორედ ამ მოვლენას ეხმიანება საველე მუშაობის დროს ჩაწერილი მეგრული პოეტური ტექსტი:

დედაქ კაბა დომიჭუ,

დედამ კაბა შემიკერა,

ლენტით გომიქუჩუჩუ. და მომირთო ბაბთებით.  
გუმათხინდუნ მიჩქუდუდო მათხოვებდა მეგონა და  
მელორლონჯეთ გომიტუ. მამწყემსია ბატები.

(მთქმელი ნ. მითაგვარია, 2001 წელი. წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯგალი)

მეგრული ჩვეულებით, დედებს ქალიშვილი ათი წლის რომ გაუხდებოდათ, ბატებს უყიდდნენ და ამწყემსებდნენ. ისინიც დილით ადრე მირეკავდნენ წყლის პირას და საღამოს უკან გამოჰრეკავდნენ, ასე რომ ყველა გლეხის ქალი თავის სამზითვო ქვეშაგების სამზადისს ადრიდანვე იწყებდა (ცაიშვილი, 1894: №156).

ყველა ოჯახი როდი ახერხებდა ამას, ამიტომაც იდგა მზითვის საკითხი ასე მტკივნეულად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეგრული შაირი:

ძღაბი ჯგირი ვორექ, მარა გოგო კარგი ვარ, მაგრამ  
ბზითი მუთა მაპალუუ. მზითევი არ გამაჩნიაო

(ციფშიძე, 1994: 114)

ვაჟი ერთგვარ პირობას ართმევს გასათხოვარ ქალს, თუ გემრიელი მექნები, მზითვს არ მოგთხოვო. მოგვყავს ტექსტი:

გემუანქ ქუმაცი და, თუ გემრიელი მექმენ,  
ზითის ვამგოღალაფუა, მზითევს არ მოგთხოვ  
(„მოგატანინებ“)

უგემური ქუმაც და, თუ უგემური მექმენ,  
დუს გუგოტახაფუა. თავს გაგატეხინებ.

(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975:191)

მეგრული ტექსტუალური მასალა გვამღევეს იმის თქმის უფლებას, ვაჟმა ლამაზ ქალს მზითვი არ უნდა მოსთხოვოს, რადგანაც ეს ვაჟისთვის ბიჭობის, ვაჟკაცობის შეურაცხყოფად იქნება გაგებული და აღქმული:

ტანი ლანდარი, წელი ჭიფე, ტანი აშოლტილი, წელი წვრილი,  
ორტყაფ გითოწკიროკილი<sup>1</sup> სარტყელ კოხტად შემორტყმული,  
ჩხვინდი კვეკვერე, თოლი ფართო ცხვირი ლამაზი („კოტა,  
უჩა თომა კიროკილი, „მოხდენილი“), თვალი ფართო,  
შავი ხვეულთმიანი,

<sup>1</sup> გითოწკიროკილი - ვიწრო წელზე კოხტად სარტყელშემორტყმული

მუდგა ჯგირო დეკვირენი.	რაგინდ კარგად დააკვირდე,
ვაგაგორუ შური კილი,	ვერ მოუძებნი ნაკლს,
ათას ქესა ფარა ღირუ,	ათასი ქისა ფული ღირს,
ორდე თიში ოროფილი,	იყო მისი შეყვარებული,
დუც ლაფი გინოწუმუდას,	თავს ლაფი გადასხმოდეს.
სკანდე ბზითის მათხუალს	შენგან მზითვის მთხოვნელს,
მა ბოშალა <sup>2</sup> მიღუნნი,	მე ვაჟკაცობა („ბიჭობა“) მაქვსო,
იქ უკული ვათქუას.	მან მერე აღარ თქვას.
გიზუკოლუნქ – დდას ვაყუნა	დაგარიგებ – არასოდეს გაყვე.
მით დოგიჭყანს ვარჭუას,	ვინც დაგიწყებს ვაჭრობას,
თიმ ჩქიჩქუქე, სქანი ძუძუ	მის შვილს შენი ძუძუ
ვახვადუ დო ვაწუას!	არ ხვდება და არც მოწოვოს!

(მთქმელი სონია ხარბედია, 1982 წელი სენაკის რ-ნი სოფ. მენჯი)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გასათხოვარ ქალს სხვა ნივთებთან ერთად სამზითვოდ წიგნსაც უგროვებდნენ.

მზითვის სიაში წიგნებიდან პირველი ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ ეჭირა. ფუცუ დგებუამე-ფულარია „ოქროს ბეჭედში“ გადმოგვცემს, რომ სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმამ კონსტანტინემ, როცა მათა დადიანზე იქორწინა, ახლადმეუღლეებულეებს უამრავ საქორწილო საჩუქართან ერთად საუკეთესო ბიბლიოთეკა მიართვეს „... კარადაში ფაქიზად ეწყო: მოოქროვილყდიანი „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, „ქილილა და დამანა“, მარიამ ბატონიშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, „სარკე თქმულთა“, თეიმურაზ მეორის ლექსები და პოემები, „ვისრამიანი“, ჩახრუხამის „თამარიანი“, „რიტორიკა“, „კატელორიების სახელმძღვანელო“, „კაზმულსიტყვაობა“ და მრავალი სხვა საეკლესიო თუ საერო წიგნი (დგებუამე-ფულარია, 1982:14).

„ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის მზითვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა. „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა ქართველი ქალის ინტელექტის

<sup>2</sup> ბოშალა - ყრმობა, სიყმაწვილე, ბიჭობა, ვაჟკაცობა (ბოშალას გუმორჩქინა – ვაჟკაცობის გამოჩენა) (ქობალა, 2010: 66).

ერთგვარი აღიარება იყო (სიხარულიძე, 1960: 261) მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავს, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების პოპულარობის თვალსაზრისითაა საგულისხმო, არამედ იგი აგრეთვე ქართველი ხალხის ღრმა ჰუმანიზმის მაჩვენებელიცაა (ჩიქოვანი, 1937: 238)

„ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანება საზოგადოების დაბალ ფენაშიაც დასტურდება. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

ქალი მყავდა მშვენიერი,  
თავმორთული კაოსანი,  
გავათხოვე, გავატანე  
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“...

ეს ლექსი განსაკუთრებით „გავრცელებული ყოფილა დასავლეთ საქართველოში და ასახავს იმ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც რუსთაველის პოემა პატარძალს მზითვად ეძლეოდა“ (ჩიქოვანი, 1937: 238)

ნატურალური მეურნეობის რღვევის ეტაპზე დასაქორწინებელი წყვილები თვითონ ირჩევენ სასურველ ცხოვრების თანამგზავრს და მშობლებს თხოვენ, მათი სურვილი დააკმაყოფილონ. ბუნებრივია, ეს ცვლილება თავის გამოხატულებას ხალხურ ლექს-სიმღერებში პოულობს.

გასათხოვარი ქალის სურვილი ნათლად არის ჩამოყალიბებული ლექსში:

ძღაბი:

... მა ეფერი ბოში მოკო,  
ირემც ნადირენდას ზღვას,  
ორაგულ დო კალმახას  
მოსათ ჭოფუნდას ტყას,  
გვალას რზენო ოშქვანდას,  
რაშით ფურინგნდას ცას.  
ქიიქენქო სი თენეფც?  
მუთ მიმტკიცე ოროფას?

გოგო:

... მე ისეთი ბიჭი მინდა,  
ზღვაში ირემს ნადირობდეს,  
ორაგულსა და კალმახსა  
ბადით ტყეში იჭერდეს,  
მთას ვაკედ გადააქცევდეს,  
რაშით ცაში დაფრინავდეს!  
შენ იზამ ყველა ამას?  
რით მიმტკიცებ სიყვარულს?

ბოში:

ზღვაშ ძგას კუჩხის გილუნქირა,

ბიჭი:

ზღვის პირს ფეხს დავაჭერ,

როფეცალო ქედვოხუა,	ვარცლივით დავაპირქვავებ,
ჟი ტყას ვევოფალაფუა,	ზევით ბალახს არ ვახარებ,
ირემც გურთანც გევუსკუა,	ირემს გუთანში შევაბამ,
ჰაერც ყორშის ქიგეიდგბ,	ჰაერში კოშკსა აგიგებ,
ჯგირ დო სქვამცე დოიჩუა,	კარგს და ლამაზს შეგინახავ,
შურ დო გურით სქან ვორექე,	სულით და გულით შენი ვარ,
მიცორქე დო გიფუჩუა.	მიყვარხარ და გიფიცებ.

(სამუშია, 1971: 32)

დრომ ქორწინების წინაპირობათა არსი შეცვალა. მზითვი, ე. ი. ვაჟის მატერიალური დაინტერესება უკან პლანზე გადადის. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სიყვარული. ახალგაზრდება თავიანთი გრძნობით, შინაგანი სამყაროს კარნახით ქმნიან ოჯახებს. მშობლები უკვე ვეღარ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ქალ-ვაჟის შეუღლებაში, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. თაობათა ეს ბრძოლა თავისებურ ასახვას პოულობს ფოლკლორულ ნიმუშებში:

ახლანდელი გოგოები  
ნულარ დაიზრდებიანო,  
მაჭანკლები აღარ უნდათ,  
თავის ფეხით ყვებიანო. (თსუ.ფ. არქ. № 4973).

ან კიდევ

ასეიან ახალეფი	ახლანდელ ახალგაზრდებს
ნამეტანი მეტი რენა,	დიდი წარმოდგენა აქვთ თავზე
მარებელს ვაურჩქილენა დო	მაჭანკალი არ უნდათ და
მუნეფიშით იქანჩუნა.	თავიანთით აგვარებენ.

(მთქმელი ნათელა აფხაზავა, ზუგდიდის რ-ნი,სოფ. კახათი, 2015 წელი)

ცხადია, რომ ისტორიის საკუთრება გახდა ის დრო, როდესაც პატარძლისთვის „მზითვის სია“ პირველი ქვაკუთხედი იყო მომავალი ბედნიერებისათვის. მზითვის სიები დროსა და წოდების მიხედვით თანდათან იცვლებოდა, როგორც მატერიალური ღირებულებით, ისე გარეგნული სტილით (გრიშაშვილი, 1985:185). დასაქორწინებელი ქალიშვილი მიმართავს ვაჟს:

ბოში, გიწოლე ართის	ბიჭო, გეტყვი ერთს:
--------------------	--------------------

მუჟანც მიდამიჟონანქენი,	წამიყვან,
ქუმგოქენანქ ღართის	ჩაგაცმევ ჩოხას
ეშა მუდგა კვაკვალუე,	მანამდე, რაც არ უნდა ილაყბო,
მითა გარძენს პრანწის.	არვინ მოგცემს არაფერს.

(ქართული ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), 2016: 96)

ტექსტიდან ჩანს, რომ დასაქორწინებელ წყვილთა შორის დრომ შეცვალა დამოკიდებულება, რადგანაც ადრე წარმოუდგენელი იყო, რომ ქალ-ვაჟს შორის გამართულიყო ამ ტიპის დიალოგი.

თანამედროვე ყოფაში ოჯახები ნამდვილად დასაქორწინებელ წყვილთა სურვილით იქმნება, რაც მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

ვაჟი მიმართავს ქალს და სთავზობს ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას:

ეგებ, ქორთული ვაგარჩილე,	იქნებ, ქართული არ გესმის,
მარგალურო მუგომინა:	მეგრულად მოგახსენებ:
ქგოკონდა, მიდაფრთათ,	თუ გსურს, წავიდეთ და
ართო ქედებკენათ ბინა	ერთად დავიდოთ ბინა.

(ქართული ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), 2016: 457)

ამრიგად, ფოლკლორული პოეტური ტექსტები გვაძლევენ უფლებას, რომ დავასკვნათ მზითვის ფუნქცია დროსა და სივრცეში იცვლება.

### ლიტერატურა:

1. ავაქიძე, ჯაფარიძე, ხომტარია, 1959:86 - ა. ავაქიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხომტარია, ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, საქართველოს არქელოგია, თბ., 1959
2. გრიშაშვილი, 1985:185 - ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტ., 3, თბ., 1985
3. დგებუაძე-ფულარია 1982:14 - ფ. დგებუაძე-ფულარია ოქროს ბეჭედი, თბ., 1982
4. თსუ-ს ფოლკლორის არქივი № 2850- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი № 2850



5. თსუ-ს ფოლკლორის არქივი № 4973 -თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი მთქმელი სონია გვრიტიშვილი, ჩამწერი ქ. ბ ურჯანაძე 194, № 4973
6. მაჩაბელი 1978:59 - ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978
7. მაჩაბელი 197:139 - ნ. მაჩაბელი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 197
8. მთქმელი სონია ხარბედია, 1982წ. სენაკი სოფ. მენჯი, სახარბედიოს უბანი-პირადი არქივიდან
9. მთქმელი ნანული მითაგვარია, 2001წ. წალენჯიხის რ-ნი, ჯგალი- პირადი არქივიდან
10. მთქმელი ნათელა აფხაზავა, 2015 წ., ზუგდიდის რ-ნი, სოფ. კახათი - პირადი არქივიდან
11. სამუშია, 1971:32 - სამუშია კ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971
12. სიხარულიძე, 1960: 261 – ქს. სიხარულიძე, საქორწილო პოეზია, წიგნში ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, თბ., 1960
13. ქართული ხალხური სიტყვიერება 1975:192 - ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბ., 1975
14. ქართული ხალხური სიტყვიერება, 2016:192 - ქართული ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი), წიგნი გამოსაცემად მოამზადა, ა. ლომთაძემ, თბ., 2016
15. ქობალია 2010: 66- ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ.,2010
16. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994
17. ჩიქოვანი, 1937:238 – მიხ. ჩიქოვანი. ხალხური „ვეტხისტყაოსანი“ თბ., 1937
18. ცაიშვილი 1894: - მ. ცაიშვილი, მეგრული ჩვეულებანი, „ივერია“, 1894, № 156
19. ხიზანიშვილი, (ურბნელი), 1940:42-ნ. ხიზანიშვილი, (ურბნელი), ეთნოგრაფიული წერილები, ფშავ-ხევსურეთი, თბ., 1940
20. ხოსიტაშვილი, 1983:58 - ს. ხოსიტაშვილი, ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხეთი-ჯავახეთში, თბ., 1983

## DOWRY AND MEGRELIAN FOLK POETIC WRITING

**Nana Abuladze**

Doctor of Philology, Dadiani Palaces Historical and  
Architectural Museum

E-mail: abuladze777@gmail.com

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor  
Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Folk verbosity is inexhaustible source of life and indigeneity of the nation. It is composed of the factual materials, which were created with national feelings.

Dowry is important to study the institute of marriage as folk tradition, as it was one part of the chain of marriage traditions. The bride's parents were responsible to prepare it and it was changed in parallel with the social-economic and culture developments.

Folk poetry writing preserved a lot of text materials, which clearly demonstrate the traditions of various epochs. It is well-known that the traditions reflect the spirit of centuries.

In one period of human evaluation history, personal dignities, family background and characters of the couple were key pre-conditions to get into marriage. Through the centuries the spiritual and material values usually change.

It is worth to mention that material difficulties made the dowry institute as an important part.

The parents of both bride and groom were interested in it. It is important to note that, dowry has not lost its importance even nowadays.

It is indisputable that the period, when “dowry list” was an important pre-condition for the happy marriage of a bride, now belongs to history.

The essence of the pre-conditions for the marriage were steeled in the centuries-old furnace. Dowry, that is material interest of a groom, was losing its importance. The love replaces its place as an important pre-condition. The youth are creating families with their love and internal feelings. The parents no-longer play decisive role in the marriage of the young couple, for what they get dissatisfied. The conflict between the generations is reflected in folk works too.

Our goal is to show the attitude towards the dowry as well as the changes in these attitudes based on the Megrelian folk poetic writings, which we collected as a result of field works. These

materials enable us to conclude how the role and importance of the dowry was changing in time and space.

**Keywords:** *Dowry, Megrelian traditions, Megrelian poetic writings, list of dowry, matchmaker.*